| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება** | სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქ. №32/35 ტელ/ფაქსი: (0422) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge |
| **საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** | პროფესიული და უწყვეტი განათლება |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** | განათლების მეცნიერების მაგისტრი |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებში** | სულ **120 კრედიტი:** 75 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კურსები (მათ შორის 6 კრედიტი პროფესიული პრაქტიკა), 15 კრედიტი - არჩევითი კურსები, 30 კრედიტი - სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი). |
| **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** | საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონ-მდებლობით დადგენილი წესისა და "ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 7 ივლისის № 59 დადგენილების შესაბამისად.<br>სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს ბაკალავრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელმაც წარმატებით ჩააბარა საერთო სამაგისტრო გამოცდა, რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დადგენილ ვადებში დარეგისტრირდა ბსუ-ში მაგისტრანტობის კანდიდატად, ჩააბარა შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები ინგლისურ ენაში (B2 დონე) და სპეციალობაში.<br>სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „პროფესიული და უწყვეტი განათლება" ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა ან/და გარე" მობილობის ფარგლებში გადმოყვანის წესით. დასაშვებია უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიღება პროგრამაზე საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით. |
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი** | სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „პროფესიული და უწყვეტი განათლება" მიზანია მოამზადოს განათლების მეცნიერების მაგისტრი, რომელსაც:<br>1. აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა განათლების სისტემებში, განათლების თეორიებში, განათლების პოლიტიკაში, პროფესიული და |

| | |
|---|---|
| | უწყვეტი განათლების სპეციფიკასა და პროფესიული განათლების ხარისხის მართვაში;<br>2. შესწევს უნარი ეფექტიანად გაუმკლავდეს ლოკალურ და საერთაშორისო ასპექტში პროფესიული განათლებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის გამოწვევებს, კვლევისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შეიმუშავოს ინოვაციური მიდგომები და გაითვალისწინოს დარგის სპეციფიკა;<br>3. აანალიზებს საკუთარი და გუნდის წევრების პროფესიული განვითარების საჭიროებებს, გეგმავს და ახორციელებს უწყვეტი პროფესიული განვითარებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს. |
| **დასაქმების შესაძლო სფერო/სფეროები** | სამაგისტრო საგანმაანთლებლო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ დასაქმებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში, პროფესიული განათლების მიმწოდებელ კომპანიებში, უწყვეტი განათლების ცენტრებში, პროფესიული განათლებით დაინტერესებულ/ჩართულ სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში. |
| **სწავლის შედეგები** | **ცოდნა და გაცნობიერება**<br>1. ახდენს ღრმა და სისტემური ცოდნის დემონსტრირებას განათლების სისტემებში, განათლების თეორიებში, განათლების პოლიტიკაში, კვლევის მეთოდებში, პროფესიული და უწყვეტი განათლების სპეციფიკასა და ხარისხის მართვაში;<br>2. ახდენს პროფესიული და უწყვეტი განათლების განვითარების ტენდენციებისა და დარგში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებას, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პროფესიული განათლების მიზნების, ამოცანებისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით;<br>3. განსაზღვრავს პროცესის შეფასებისა და კვლევის საჭიროებებს პროფესიული და უწყვეტი განათლების ეფექტიანობისა და კონკურენტუნარიანობისთვის;<br>4. აანალიზებს პროფესიული განათლების პედაგოგიკის პრინციპებს, ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობას და მნიშვნელობას პროფესიულ და უწყვეტ განათლებაში, ინკლუზიური და უსაფრთხო სასწავლო გარემოს ორგანიზების საჭიროებებს.<br><br>**უნარი**<br>5. განათლების კონცეფციის, თეორიებისა და პოლიტიკის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით აფასებს პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში |

| | |
|---|---|
| | მიმდინარე პროცესებს, აკეთებს დასკვნებს და ამზადებს რეკომენდაციებს;<br>**6.** არგუმენტირებულად მსჯელობს პროფესიულ და უწყვეტ განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე როგორც წერილობით, ისე ზეპირად. წარმოაჩენს და ასაბუთებს შესაბამისი თეორიული პერსპექტივების საფუძველზე არჩეულ პოზიციას;<br>**7.** აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპების დაცვით დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას, ახდენს ემპირიული და თეორიული მონაცემების დამუშავებას, ანალიზს, სინთეზსა და შეფასებას. საკუთარ დასკვნებს, არგუმენტებსა და კვლევის შედეგებს წარუდგენს როგორც აკადემიურ, ასევე პროფესიულ საზოგადოებას.<br><br>**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**<br>**8.** ახდენს კომპლექსური, არაპროგნოზირებადი სასწავლო/სამუშაო გარემოს მართვას და ადაპტირებას ინოვაციური მიდგომების გამოყენებით;<br>**9.** იღებს პასუხისმგებლობას საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე, გეგმავს და ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს. |
| **შეფასების წესი** | სტუდენტის ცოდნის შეფასება ყოველ სასწავლო კურსში/მოდულში ხორციელდება 100-ქულიანი სისტემით, რომელიც წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ჯამს (შუალედური შეფასება - მაქსიმუმ 40 ქულა, შუალედური გამოცდები - 20 ქულა, დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა). შეფასების თითოეულ კომპონენტში გამოსაყენებელი შეფასების მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები და შესაბამისი ქულის დაგროვების წესი განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით, რომელიც შესაბამისობაშია სასწავლო კურსის სწავლის შედეგებთან. |
| **საკონტაქტო პირი** | მადონა მიქელაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.<br>საკონტაქტო ინფორმაცია: ელ. ფოსტა: madona.mikeladze@bsu.edu.ge<br>ტელ.:+995 577 141011 |